

ქმედების მცირე მნიშვნელობის არსი და მისი რეგულირების პრობლემა ქართულ კანონმდებლობაში

წარმოდგენილი პუბლიკაცია შეეხება სისხლის სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც არის ქმედების მცირე მნიშვნელობა, მისი არსი, მიზნები და ამოცანები. ნაშრომის თემატიკის ჭრილში მიმოხილულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი, მისი პრობლემური ცნებები; ყურადღებაა გამახვილებული საერთაშორისო სტანდარტზე, განხილულია დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის საკანონმდებლო ბაზა ნაშრომის თემატიკის ჭრილში. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომი შეეხება ქართულ და უცხოურ სასამართლო პრაქტიკას, რომელიც ნათელს გახდის პრობლემის არსსა და მოწესრიგების საჭიროებას. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ქმედების მცირე მნიშვნელობის დასჯადობასთან დაკავშირებით როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა იძლევა სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის ბრალდებულის საზიანოდ ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც აზრს უკარგავს მოცემული ინსტიტუტის არს და მიზანს.

კვლევა განხორციელებულ იქნა სისტემური, ანალიტიკური, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული და ლოგიკური მეთოდებით. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პრობლემების გაანალიზება და მისი გადაჭრის ოპტიმალური მექანიზმის შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ქმედების მცირე მნიშვნელობა, საერთაშორისო პრაქტიკა, სასამართლო პრაქტიკა.

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (შემდგომში - სსკ) ამომწურავად აყალიბებს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის საკანონმდებლო ცნებას და იძლევა პრაქტიკაში მისი ერთგვაროვანი

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული, იურისტი და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებსა“ და იურიდიულ ფირმა „კაიკაციშვილი და ადვოკატები“.

** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

განმარტების აუცილებელ კრიტერიუმებს. სსკ-ში *numerus clausa*-ს პრინციპით არის ჩამოყალიბებული დანაშაულთა დესკრიფციული და ნორმატიული აღწერილობა, რომლისგან გადახვევისა და ანალოგიის გამოყენების უფლებამოსილება ნორმაშემფარდებელს არ გააჩნია.

დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიციას იძლევა სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილი აღწერს დანაშაულის ყველა აუცილებელი ნიშნის მქონე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის გამონაკლის შემთხვევას მისი მცირე მნიშვნელობის გამო. სწორედ ქმედების მცირე მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები წარმოადგენს მოცემული სტატიის განხილვის ქვაკუთხედს.

ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ ნორმა განმტკიცებულია მატერიალური სსკ-ის ზოგად ნაწილში, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი მოქმედება ვრცელდება სსკ-ის კერძო ნაწილებში აღწერილ ყველა დანაშაულზე. შესაბამისად, მცირე მნიშვნელობის შესაძლოა იყოს ქურდობა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ნივთის დაზიანება, ყალბი რეკლამა, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა და სხვა.

ქმედების მცირე მნიშვნელობა განმარტებულია მე-7 მუხლის მეორე ნაწილშივე, კერძოდ ქმედება იმ შემთხვევაშია მცირე მნიშვნელობის თუ ის ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშანს, თუმცა არ იწვევს ისეთ ზიანს, რომელიც აუცილებელს გახდის მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან შექმნიდა ასეთი ზიანის საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ მე-7 მუხლის მეორე ნაწილი ფორმალურად ყველა დანაშაულზე ვრცელდება, ნორმის განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული დანაშაულები თავისი ბუნებიდან გამომდინარე არანაირად არ შეიძლება იყოს მცირე მნიშვნელობის, მაგალითად მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, წამება, ტრეფიკინგი, გაუპატიურება და სხვანი.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ინსტიტუტი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესაძლოა იყოს ბრალდებულისთვის, საჭიროებს შესაბამის ყურადღებას და პრაქტიკაში სწორ განმარტებას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოცემული შესაძლებლობის მიცემა არ ხდება ბრალდებულისთვის, მაშინ როდესაც ამის ყველა სამართლებრივი წინაპირობა სახეზეა. მოცემული მდგომარეობა გამომდინარეობს პროკურორისა და მოსამართლის ფართო დისკრეციული უფლებამოსილებიდან, რომელიც მე-7 მუხლის მეორე ნაწილის გვერდის ავლის შესაძლებლობას იძლევა.

სწორედ მოცემული საკანონმდებლო რეგულაციის განმტკიცებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზანს მოცემული ნაშრომი, სადაც განხილული იქნება როგორც თავად ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტის არსი, ასევე მისი ისტორიული წარმომავლობა, საზღვარგარეთის ქვეყნების რეგულირება, საქართველოსა და

სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და გადაჭრის გზა, საკანონმდებლო ცვლილების ფორმით.

1. ქმედების მცირე მნიშვნელობის მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

1.1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები

სახელმწიფოს დისკრეციულ და ერთმნიშვნელოვან უფლებამოსილებას განეკუთვნება *jus puniendi* (დასჯის უფლება), რომლის რეპრესიული ძალის რეალიზების უკიდურეს საშუალებას წარმოადგენს სისხლის სამართალი, რის გამოც მას *ultima ratio*-ს სახელითაც მოიხსენიებენ. შესაბამისად, სისხლის სამართლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამოწურულია სახელმწიფო ზემოქმედების ყველა სხვა, ნაკლებად მკაცრი და მზლუდავი საშუალებები.

სსკ-ის მე-7 მუხლი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, რომელიც არის დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება¹. აქედან გამომდინარე, ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სისხლის სამართლის რეპრესიული ძალის გამოყენების საფუძველი, თუ ის უკანასკნელი, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მოცემული კოდექსით, და ამასთანავე არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

სსკ ეყრდნობა გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკიდან მომდინარე დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემას². ამ სისტემის მიხედვით დანაშაულის ელემენტებია: 1. ქმედების შემადგენლობა, 2. მართლწინააღმდეგობა 3. ბრალი.

სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელ, პირველ ელემენტს წარმოადგენს ქმედების სსკ-ში აღწერა (*nullum crime sine actus*). მისი კანონში არსებობის სავალდებულო მოთხოვნა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ისეთი ფუნდამენტური პრინციპებიდან, როგორიც არის - „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ (*nullum crime, sine lege*). თავის მხრივ, ქმედება შესაძლოა გამოხატულ იქნეს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში, რის გამოც ქმედების შესახებ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ნების ბატონობის ქვეშ მოქცეულ ან მოქცევად სოციალურად მნიშვნელოვან აქტს.

ოთარ გამყრელიძე მის ნაშრომებში ავითარებს აზრს, რომლის მიხედვითაც, პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა მხოლოდ შიშველი, ლიტონი აზრისთვის დაუშვებელია და არ გამომდინარეობს სსკ-ის მე-7 მუხლის შინაარსიდან. თუმცა, შემდგომში ავრცობს მის მოსაზრებას და

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი მე-7, ნაწილი პირველი, 22/07/1999.

² ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 2010, 56.

წერს, რომ იქ, სადაც აზრის გამოხატვა კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს, არსებობს ქმედება და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი³. მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლის არსებობაც აუცილებელია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის, არის მართლწინააღმდეგობა, რომელიც შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც წინააღმდეგობა კულტურული ნორმებისადმი⁴.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან და სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზიდან საფიქრებელია, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია მოითხოვს პირის მიერ განხორციელებული ქმედების დეტალურ შესწავლას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება სამივე ელემენტის არსებობა, შესაძლებელი ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

როგორც გამოვლინდა, კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი იძლევა მიმართულებას, რაც მომავალში სასამართლოს შეფასების შესაბამისად, შესაძლოა გახდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. თუმცა, კანონმდებელი მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში ადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ელემენტს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლოა დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხვის საკითხი. კერძოდ, ქმედების მცირე მნიშვნელობა, რომელიც მისი ბუნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია და წარმოადგენს მოცემული სტატიის განხილვის მთავარ ქვაკუთხედს.

1.2. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის გამოწვევები

საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი განმარტავს ქმედების მცირე მნიშვნელობას, რომელიც ჯერ კიდევ 1960 წლის სსკ-ით იყო გათვალისწინებული⁵. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირის მიერ ჩადენილი ქმედება ფორმალურად შეიცავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელ ყველა ელემენტს, ის არ წარმოადგენს დანაშაულს, თუ მისი მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას⁶.

„პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, განხორციელებული ქმედება არამხოლოდ სსკ-ით უნდა იყოს გათვალისწინებული, არამედ უნდა იწვევდეს ისეთ ზიანს ან ქმნიდეს ისეთ საფრთხეს, რომ აუცილებელი გახდეს მოქმედი პირის სისხლისსამართლებრივი

³ *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ., 2015, 41.

⁴ *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 2010, 70.

⁵ *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ., 2015, 175.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი მე-7, ნაწილი მე-2, 22/07/1999.

პასუხისმგებლობა, ესე იგი პირის დასჯის აუცილებლობა საჯარო ინტერესით განპირობებული კანონიერი მიზნის გამოძახილი უნდა იყოს.⁷

ქმედების მცირე მნიშვნელობის ინსტიტუტი არ განეკუთვნება მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, რომლის დადგენის უფლებამოსილებაც სასამართლოს დისკრეციაა, არამედ მასზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა ასევე მინიჭებული აქვს პროკურატურას. ეს უკანასკნელი აფასებს, გამოიწვია თუ არა სსკ-ის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებულმა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა ქმედებამ ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა ჩამდენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენა განეკუთვნება, არა პროკურატურის, არამედ სასამართლოს უფლებამოსილებათა კატეგორიას. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოება, თუმცა მისი დადგენის არც ვალდებულება და არც უფლებამოსილება პროკურორს არ ეკისრება. მან უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად არსებობს მოცემული ქმედების დასჯადობის საჯარო ინტერესი და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე. „...ზოგჯერ უმართლობის ხარისხი შეიძლება ისე შემცირდეს, რომ საერთოდ გამოირიცხოს ადამიანისათვის ჩადენილი ქმედების ბრალად შერაცხვის საფუძველი.“⁸

მოცემული დათქმა არ გამორიცხავს მოსამართლის უფლებამოსილებას, სასამართლოს დღის წესრიგში დააყენოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საკითხის შეფასება და მსჯელობის შედეგად მივიდეს დასკვნამდე, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო, პირს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁹

ქმედების მცირე მნიშვნელობის გაგებასთან დაკავშირებით არ არსებობს ჩამოყალიბებული, ერთიანი მოსაზრება, ვინაიდან პრაქტიკოს-იურისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი არის ქმედების გამომრიცხველი გარემოება, მეორე ნაწილი კი მხარს უჭერს მისი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ მატერიალურ-სამართლებრივ გარემოებად მიჩნევას, მაშინ როდესაც მესამე ნაწილი ემხრობა მის სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელ პროცესუალურ-სამართლებრივ გარემოებად გაგებას¹⁰.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, აშკარა და ცალსახაა მოცემული ინსტიტუტის დადებითი და მნიშვნელოვანი როლი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, ვინაიდან პრაქტიკაში შესაძლოა

⁷ *ეუაშვილი გ.*, ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძველი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეზე, თბ., 2018, 1.

⁸ *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ., 2015, 170-175.

⁹ *დოლიძე თ.*, ქმედების მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციის თავისებურებები თანამედროვე სისხლის სამართალში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო 14, მაისი, 2020. თბ. 83-95.

¹⁰ *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 2010, 71.

არსებობდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ფორმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა თვითონ ქმედების შინაარსი და ხასიათი მის დანაშაულად კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბადებდეს უსამართლობის რელევანტურ განცდას.

სსსკ-ის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სსკ-ის მიზნებს წარმოადგენს დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა¹¹. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს მსჯავრდების საჯარო ინტერესი და ვერ ხდება კოდექსის მიზნების რეალიზება, გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ახდენს სამართლიანი კანონის უსამართლოდ გამოყენების რისკების პრევენციას.

2. ქმედების მცირე მნიშვნელობის მოწესრიგება უცხოური კანონმდებლობის მიხედვით

2.1. *Civil law*- კონტინენტური სამართლის ქვეყნები

2.1.1. გერმანია

გერმანელი კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებული ჩარჩო კანონებისა ქმედების შემადგენლობას არ გამორიცხავს და შესაბამისად დასჯადად აცხადებს მცირე მნიშვნელობის წვრილმან დანაშაულებს. თუმცადა, კანონმდებლის ნება ასე ხისტად არ უნდა განიმარტოს. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ანალიზისას ჩანს, რომ გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შესაძლებლობა თუ ჩადენილი ქმედება უმნიშვნელოა, ხოლო მისი ჩამდენი პირის გასაკიცხაობის ხარისხი არის დაბალი და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საჯარო ინტერესი.¹²

არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება მიუთითებს, რომ გერმანიაში ქმედების მცირე მნიშვნელოვნების მოწესრიგების საკითხი მეტად ემყარება საპროცესო კოდექსს, ვიდრე მატერიალურს, მაგრამ მიუხედავად დანაშაულის მცირე მნიშვნელობისა ის მაინც სისხლის სამართლის კოლეგიის დაქვემდებარებაშია.

2.1.2. უკრაინა

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს უკრაინის საკანონმდებლო მოდელზეც. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს, რადგან მისი მცირე მნიშვნელობის

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი მე-7, ნაწილი მე-2, 22/07/1999.

¹² ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, 72.

გამო იგი საზოგადოებრივი საფრთხე არ არის. ეს ნიშნავს იმას, რომ განხორციელებული ქმედება არ წარმოადგენს საფრთხეს და შესაბამისად არ აყენებს ზიანს კონკრეტულ ინდივიდს.¹³

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის კანონმდებლობა ანალოგიურია ქართულისა, სადაც მატერიალური სამართლის ნაწილად არის ქცეული ქმედების მცირე მნიშვნელობად კვალიფიცირების საკითხი, რაც ესოდენ საინტერესოა. მსგავსი პრაქტიკა გვაქვს სახეზე, როდესაც ვსაუბრობთ რუსეთის,¹⁴ სომხეთისა¹⁵ და აზერბაიჯანის¹⁶ კანონმდებლობაზე. მათი საკანონმდებლო მოწესრიგებაც იცნობს მცირე მნიშვნელობის დანაშაულს, როგორც ქმედებას, რომლის დასჯადობის საკითხს საჯარო ინტერესის არ არსებობის გამო გამორიცხავენ.

2.2. *Common law*- ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნები

2.2.1 დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში მცირე მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა მთლიანად სასამართლო პროცესს ემყარება. მოსამართლე არის სრულად უფლებამოსილი შეაფასოს დასჯადობის საკითხი, მის კომპეტენციას განეკუთვნება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

კონტინენტური ევროპისგან განსხვავებით, სადაც მცირე მნიშვნელობის დეფინიცია კანონმდებლობაში გვხვდება, დიდ ბრიტანეთში ნორმატიული ჩანაწერი მცირე მნიშვნელობის დანაშაულთან მიმართებით არ არსებობს. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ჩვეულებრივ სისხლის სამართლის წესით დასჯადად აცხადებს ისეთ ქმედებას, რომელიც დასჯადია კანონით უშუალოდ ქმედების ჩადენის დროს.

ბრიტანელი კანონმდებელი არ ახდენს დანაშაულთა კლასიფიკაციას. მოსამართლის დისკრეცია ამ შემთხვევაში მეტად ფართოა, მას თავად შესწევს ძალა, ბრალმდებლისგან დამოუკიდებლად, განსაჯოს იმსახურებს თუ არა პირი კონკრეტული ქმედებისთვის სისხლის სამართლის წესით დასჯას.

2.2.2 ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ბაზა განსაკუთრებულია, რადგან მიდგომა ამ ტიპის დანაშაულების კვალიფიკაციის ჭრილში სპეციფიკურია ცალკეული შტატების კანონმდებლობის მიხედვით.

კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის 484-ე პარაგრაფის მიხედვით ქურდობა არის ფართო მოცემულობა, რომელიც მრავალ

¹³ Criminal Code of Ukraine, Article 1, Part 1, 2001.

¹⁴ The Criminal Code of the Russian Federation, Article 14, 1996

¹⁵ Criminal Code of the Republic of Armenia, Article 18, Part 2, 2003.

¹⁶ Criminal Code of the Azerbaijan Republic, Article 14, Part 2, 1999

კომპონენტს მოიცავს. აღნიშნულ მუხლში დანაშაულები სიმძიმის მიხედვითაა დიფერენცირებული. ყველაზე გავრცელებული დანაშაულები კალიფორნიაში არის: *Petty Theft* (წვრილმანი ქურდობა); *Burglary* (ძარცვა ჩადენილი ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით); *Robbery* (ყაჩაღობა); *Embezzlement* (მითვისება; გაფლანგვა); *Grand Theft*, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ყურადღება გავამახვილდება პირველ ნაწილზე, წვრილმან ქურდობაზე, რომელიც ჰგავს მცირე მნიშვნელობის დანაშაულის აღწერას, მაგრამ განსხვავებულად რეგულირდება.¹⁷

Petty Theft - წვრილმანი ქურდობა - ნაქურდალი რომლის ღირებულება არ აღემატება 950 დოლარს ითვლება წვრილმან ქურდობად და არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. თუმცადა, ქმედების მართლწინააღმდეგობის მიუხედავად სანქცია ამ დანაშაულისათვის არის ჯარიმა ან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ან შესაძლოა ორივე კუმულატიურად იქნას გამოყენებული.¹⁸ გამოძიება არ იწყება, როდესაც აღნიშნული ქმედება პირველადაა განხორციელებული.

ამერიკელი კანონმდებლისთვის მნიშვნელობა აქვს წვრილმანი ქურდობის ჯერადობას და არა ზოგადად, როგორც საქართველოშია, ნასამართლეობის არსებობას. თუ წვრილმანი ქურდობა პიროვნებამ პირველად ჩაიდინა მოსამართლე საქმის ფაქტორივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, ყველა საქმეზე ინდივიდუალურად თავად, საკუთარი დისკრეციით განსაზღვრავს სასჯელის ისეთ ფორმას, როგორიცაა: განრიდების პროგრამა, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.¹⁹

განმეორებით ჩადენილი წვრილმანი ქურდობა უფრო მკაცრად ისჯება მისი არსიდან და საჯარო ინტერესიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, ამერიკელი კანონმდებლისთვის მნიშვნელოვანია წვრილმან ქურდობასთან ბრძოლა და არა პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. სასამართლო მხედველობაში იღებს პრობლემის გამომწვევ მიზეზს და იყენებს სასჯელის იმ ზომას, რომელიც პირს დაეხმარება შემდგომში მსგავსი ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებაში. მეორე, მრავალჯერადობის კომპონენტის წვრილმან ქურდობასთან დაკავშირება გამიჯვნისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეა. ათვლა სწორედ ამ დანაშაულით უნდა დაიწყოს და ადრე ჩადენილი უმართლობა არ უნდა გახდეს დამამძიმებელი ფაქტორი სამართლის სუბიექტისთვის.

მაგალითად, პირმა მოიპარა მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა მაღაზიიდან, რომლის ღირებულება იყო 2 000 დოლარამდე. პირი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ე.წ. *Grand Theft*-ისთვის. საპატიმროს

¹⁷ Francis Wharton, A treatise on the criminal law of the United States, Kay and Bro (Philadelphia), 1874, 200-245.

¹⁸ <<https://www.monderlaw.com/theft/petty-theft/>> [მონახულების თარიღი 2022].

¹⁹ Lisa M., Schaffer, Esq, What Is the Typical Punishment for Petty Theft?, FindLaw, 14.08.2018, <<https://www.findlaw.com/legalblogs/criminal-defense/what-is-the-typical-punishment-for-petty-theft/>> [2022].

დატოვებიდან 1 წლის შემდეგ მან მაღაზიიდან მოიპარა პური და სხვა სიცოცხლისთვის აუცილებელი მინიმალური პროდუქცია. აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც *Petty Theft*. ამ დროს არ შეიძლება პირის მიერ ჩადენილი ქმედება არაერთგზისად ჩაითვალოს, რადგან პირველმა სანქციამ შედეგი გამოიღო. პირს იმ მასშტაბის ქურდობა არ განუხორციელებია, რაც ადრე ჩაიდინა. ამას ემატება ისიც, რომ მეორე ჯერზე ქმედება განხორციელდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის მოსაპოვებლად. სწორედ ამიტომ, ამ საქმეებში ამერიკელი კანონმდებელი ათვლას იწყებს არა ზოგადად პირის არსებული ნასამართლეობიდან, არამედ სასამართლო იკვლევს ჰქონდა თუ არა პირს ჩადენილი *Petty Theft*. ეს მიდგომა სწორი და გამართლებულია სანქციის განსაზღვრის დროს.²⁰

3. ქართული სასამართლო პრაქტიკა

3.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №154აპ-18

2015 წლის 22 სექტემბერს, მსჯავრდებულმა, უკანონოდ შეაღწია მაღაზიაში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 15 ლარად ღირებულ ერთ ბოთლ არაყს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 ნოემბრის განაჩენით ბრალდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აგვისტოს განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის განაჩენი გაუქმდა და ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული გადაწყვეტილება, მსჯავრდებულმა გაასაჩივრა და ითხოვა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის, როგორც უსაფუძვლოსა და დაუსაბუთებლის, გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მხოლოდ 15 ლარის ზიანზე აპელირებით არ გამომდინარეობს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილიდან, როდესაც თავად ქმედების ხასიათი და მისი ჩადენის ხერხი არ წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონეს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასა და კოლეგიების აზრს არ დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, რომელმაც განმარტა, რომ ქმედების დანაშაულად ცნობისთვის, საკმარისი არ არის მხოლოდ მისი მსგავსება დანაშაულთან, რადგან ქმედება შეიძლება იმდენად მცირე მნიშვნელობის იყოს, რომ მისი ჩამდენისთვის საჭირო არ გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთ შემთხვევაში,

²⁰ Felthous, Alan R., Rational capacity and criminal responsibility in the USA, International journal of law and psychiatry, 2022, Vol.83 p. 111-145.

ფაქტობრივი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ემთხვევა რომელიმე კონკრეტული დანაშაულის განმსაზღვრელი ქმედების შემადგენლობას, გადაიქცევა წმინდა ფორმალობად, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად ვერ გამოდგება.

კანონმდებელი არ იძლევა მცირე მნიშვნელოვნების შეფასების კრიტერიუმებს. ამდენად, მუხლის მიზნებისთვის, მცირე მნიშვნელობის ზიანის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით.

ქმედების მცირე მნიშვნელობის დასადგენად, აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად - ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

დანაშაულის მოტივსა და მიზანთან დაკავშირებით მოსამართლემ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის ცხოვრების პირადი, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა განაპირობებდა მისი ქცევის მოტივსა და მიზანს. მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა, ცხოვრობდა ქუჩაში და სისტემატურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს. მოსამართლემ აღნიშნა, რომ პირის ქმედება იმდენად მცირე საშიშროების შემცველი იყო, რომ მისი ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი რეპრესიის განხორციელება გაუმართლებელი იქნებოდა. ქმედების საშიშროებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მისი ჩამდენი პირის სოციალური საშიშროების ზომას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის ქმედება, მის მიერ დანაშაულის ჩადენის პირველი შემთხვევა იყო, რასაც ადასტურებდა ცნობა ნასამართლობის შესახებ.

დასახელებული სასამართლო პრაქტიკა არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება რეპრესიულმა მექანიზმმა მცირე მნიშვნელობის დანაშაულზეც მისცეს პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. გადაწყვეტილებაში მოხმობილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, პირი არ იყო ნასამართლევ, რასაც ადასტურებს არსებული ცნობა ნასამართლობის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა 15 ლარიანი ალკოჰოლური სასმელი უკანონო დაუფლებისთვის პირი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციამ მისცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში²¹.

3.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე № 2კ-867აპ.-08

მნიშვნელოვანია, სასამართლოს დამოკიდებულება ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისას, როდესაც ზიანი მცირე მნიშვნელობისაა. 2015 წლის 2 მაისს, მაღაზიიდან ბრალდებული და მისი მეგობარი, რომელიც წარსულში

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საქმეზე N3154აპ-18, 01.08.2018.

ქურდობისათვის იყო ნასამართლევი, ფარულად დაეუფლნენ 19 ლარად ღირებულ ყავას. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განაჩენით გ. ბ-ე და მ. ბ-ე, საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და გამართლებულების დამნაშავედ ცნობა, შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მიიჩნია მათ მიერ ჩადენილი ქმედება მცირე მნიშვნელობის მქონედ და მისი მსჯელობა, რომ გ. ბ. და მ. ბ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება, სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, წარმოადგენდა ბრალის გამომრიცხავ გარემოებას, არ შეესაბამებოდა მითითებული მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო წარსულში ნასამართლევი პირების - მ. ბ. და გ. ბ.-ს მიერ დამამძიმებელ გარემოებებში - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას - ჩადენილი ქმედება, რის გამოც ის არ შეიძლებოდა მცირე მნიშვნელობის მქონედ ყოფილიყო მიჩნეული. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი გ. ბ-სა და მ. ბ-ს მიმართ: გ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით.

საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტები გ. ბ-სა და მ. ბ-ს ბრალეულობის თაობაზე და დამატებით მიუთითა: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მარტოოდენ მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით“.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე: მ. ბ-მ და გ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად, დღისით და ხალხმრავალ ადგილას - მაღაზიაში; ამასთან, ორივე მათგანი იყო წარსულში ნასამართლევი, კერძოდ, გ. ბ. წარსულში ცნობილ იქნა დამნაშავედ ქურდობისათვის, ხოლო მ. ბ. წარსულში ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება).

საკასაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დამნაშავეთა მიმართ წარსულში უკვე გაავრცელა საშეღავათო ღონისძიებები და ორივე მათგანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეუცვალა პირობითი მსჯავრით, ისინი არ დაადგნენ გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ გ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის

პერიოდში, ხოლო მ. ბ-ს დაკისრებული ჯარიმა კვლავ არ ჰქონდა გადახდილი და ერიცხებოდა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ისინი ფარულად დაეუფლნენ ერთ ქილა ყავას, რომელიც ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ადამიანის სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ პროდუქტად, რაზეც თვით მსჯავრდებულნიც არ აპელირებდნენ. აღნიშნული დამატებით ხაზს უსვამს მათი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას.

ხსენებულიდან გამომდინარე ნათელია, რომ მსჯავრდებულებმა ვერ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები და არ განიმსჭვალნენ კანონის მიმართ სათანადო პასუხისმგებლობითა და პატივისცემით, რის გამოც მათ მიერ ჩადენილი ქმედება ვერ ჩაითვლებოდა მცირე მნიშვნელობის მქონედ მხოლოდ იმ საფუძველზე მითითებით, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი შეადგენდა 19 ლარს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით გ. გ. სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. გ. გ-ს მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, გაუქმდა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან²².

3.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე 2კ-339აპ.-05

ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე შეეხება პირის მსჯავრდებას 2 ლარად და 30 თეთრად ღირებული „ყაზბეგის“ ლუდის დაუფლებისთვის.

ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული მივიდა დაბა თიანეთში მდებარე მაღაზიაში და გამყიდველს მოსთხოვა უფასოდ ლუდის მიცემა, რაზეც გამყიდველმა მას უარი უთხრა. უარის მიღების შემდეგ ბრალდებული დაემუქრა გამყიდველს, გატეხა ვიტრინის მინა, თვითნებურად გახსნა დახლ-მაცივრის კარი და ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, მის თვალწინ აიღო 2 ლარად და 30 თეთრად ღირებული ერთი ბოთლი ლუდი „ყაზბეგი“ და მიიმალა.

პირველმა ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა მოცემულ საქმეზე და პირი სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო ცნო უდანაშაულოდ.

მოცემული განჩინება ბრალდების მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა საჩივარი და პირს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 1 თვის ვადით. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე მოცემული დანაშაულისთვის ითხოვდა 11 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.

ბრალდების მხარე აპელირებდა იმ ფაქტზე, რომ პირი, რომლის მიერაც სსკ-ით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება განხორციელდა, წარსულში

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 2კ-867, აპ.-08.

სამჯერ იყო ნასამართლევი. შესაბამისად, ყურადღებას მეტად ამახვილებდა განსასჯელის პიროვნებაზე, ვიდრე ქმედების შინაარსსა და ბუნებაზე.

ბრალდების მხარემ, მისი პოზიციის დასაბუთებისას გააკეთა შემდეგი განცხადება - „ როცა საუბარია მცირე მნიშვნელობაზე, მინდა გაიხსენოთ არა მარტო ძარცვისა და ყაჩაღობისათვის, არამედ ქურდობისათვის, მათ შორის რამდენი ჯიბის ქურდია მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში უფრო მცირე თანხის გამოც. ჩემი მოწინააღმდეგის აზრით, ე.ი. დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, შესაძლებელია არამარტო ძარცვის, არამედ ყაჩაღობისა და ბანდიტიზმის საქმის შეწყვეტაც, რაც, ვფიქრობ, ყოვლად დაუშვებელია.“

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და დაასკვნა, რომ საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს და ცვლილება უნდა შევიდეს მხოლოდ დანაშაულის კვალიფიკაციის ნაწილში.

სასამართლომ თავის მსჯელობაში აღნიშნა, რომ საქმის გარემოებებიდან, დანაშაულის სიმძიმეიდან და თვით დანაშაულის ჩამდენის პიროვნებიდან გამომდინარე, სწორად მოხდა ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა ბრალდებულის წარსულ ცხოვრებას, მის მიდრეკილებას დანაშაულის ჩადენისაკენ. კერძოდ, ბრალდებული პირველად 20 წლის ასაკში გასამართლდა ქურდობისათვის. სასამართლომ გამოიჩინა ჰუმანურობა და როგორც პირველად ნასამართლევს სასჯელის ზომად განუსაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც შეუცვალა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით. მიუხედავად ამისა, მან მიატოვა სასჯელის მოხდის ადგილი და მიიმალა. მიმალვაში მყოფმა დანის გამოყენებით გაძარცვა მოქალაქე. მას სასჯელის ზომად შეეფარდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით, 10 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა. ბრალდებული განთავისუფლების შემდეგაც არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული. სააპელაციო პალატამ მის მიმართ კიდევ ერთხელ გამოიჩინა ჰუმანურობა და სასჯელი შეუმცირა 1 წლითა და 6 თვით. მიუხედავად ამისა, მან მეოთხედ ჩაიდინა დანაშაული, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებისთანავე, ჯერ კიდევ სახლში მისვლამდე, დათვრა, მეორე დღიდან კი ზრუნვა დაიწყო თავისი „ავტორიტეტის“ დამკვიდრებისათვის. კერძოდ, პირი მიიჩნევდა, რომ არ შეიძლებოდა მისთვის, როგორც საპატიმრო ადგილებში ნამყოფისთვის, ვინმეს რამეზე უარი ეთქვა. ჩაიდინა ძარცვა, გინებითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯიხურში გამყიდველს მოსთხოვა, უფასოდ მიეცა ლუდი. მიიღო რა მისგან უარი, გატეხა დახლ-მაცივრის მინა, გამოიღო 1,5 ლიტრიანი ლუდი „ყაზბეგი“, ღირებული 2 ლარად და 30 თეთრად და მიიმალა.

შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მტკიცება მასზედ, რომ პირი ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო უნდა გათავისუფლებულიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

4. უცხოური სასამართლო პრაქტიკა

4.1. დიდი ბრიტანეთი

გაერთიანებული სამეფოს, ჰელსოვენის მაგისტრატთა სასამართლომ ცნო დამნაშავედ პირი, რომელმაც მაღაზიიდან „მარსის“ შოკოლადი მოიპარა, რომლის ღირებულებაც 75 პენსს შეადგენდა.

სასამართლოზე დაკავებულმა განმარტა, რომ ოთხი დღის განმავლობაში საჭმელი არ უჭამია და გადაწყვიტა მოეპარა ყველაზე იაფფასიანი საკვები, რაც მაღაზიაში დაინახა. სასამართლომ ჯარიმის სახით პირს დააკისრა 150 ფუნტის გადახდა, დამატებით კი განუსაზღვრა პროკურატურისთვის გადასახდელი თანხა, ასევე 20 ფუნტის დაზარალებულისთვის გადახდა „მარსის“ ღირებულების 75 პენსთან ერთად. ჯარიმის საერთო ღირებულებამ 328.75 ფუნტი შეადგინა.²³

აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო დიდი ბრიტანეთის ჰელსოვენის მაგისტრატთა სასამართლომ მიგვაჩნია, რომ არის ყოველად გაუმართლებელი და ეწინააღმდეგება სასჯელის მიზანსა და დანიშნულებას. როდესაც ადამიანი სიღარიბის გამო მაღაზიიდან „მარსის“ 75 პენსის ღირებულების შოკოლადს იპარავს ივარაუდება, რომ მას ამ ოდენობის თანხა არ გააჩნია, სასამართლო კი, რომელიც პირს ჯარიმის სახით აკისრებს 328.75 ფუნტს ყველანაირ სამართლებრივ ჩარჩოს სცილდება. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს მცირე მნიშვნელობის არსზე ემსჯელა და მისი პოზიცია ამ კუთხით განეწმინდა, იგი დაეყრდნო მსჯელობას, რომელიც 21-ე საუკუნისთვის არარეალური და ჰუმანურობის ყველანაირ სტანდარტს მოკლებულია.

4.2. იტალია

იტალიის შემთხვევაში ნიშანდობლივია იტალიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და მისი დასაბუთება.

31 წლის პირი, რომან ოსტრიაკოვი, რომელიც იყო უკრაინელი უსახლკარო, დააკავეს, რადგან მაღაზიიდან მოიპარა 4.07 ევროს ღირებულების ყველა და ძეხვი. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით პირს მხოლოდ პურისთვის სამყოფი ფული ჰქონდა. საბოლოო ჯამში სამართალდამცავმა უწყებამ დააპატიმრა ოსტრიაკოვი, გაიმართა სასამართლო პროცესი, საქმე განსახილველად გადაეცა სისხლის სამართლის პალატას. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს მიესაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით განესაზღვრა 100 ევრო.²⁴

გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდგომ იტალიის ზემდგომმა სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ იტალიის კანონით სასიცოცხლოდ საჭირო საკვების მოპოვება დანაშაული

²³ Patrick R., Is it Really Criminal to Steal Food When You're Destitute?, The Conversation, 11.05.2016 <<https://theconversation.com/is-it-really-criminal-to-steal-food-when-youre-destitute-59190>> [2022].

²⁴ იქვე.

არ არის. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის მდგომარეობა და გარემოებანი. თუმცა, სასამართლოს აქტიურად არ უმსჯელია დანაშაულის მცირე მნიშვნელობის არსსა და მის როლზე სამართლებრივ სივრცეში, რაც არ არის ამ კუთხით გამართლებული. მითითება იმაზე, რომ იტალიის კანონი სიცოცხლისათვის საჭირო საკვების მოპოვებას დანაშაულად არ აცხადებს, არაა საკმარისი სასამართლოს პოზიციის არგუმენტსაყოფად.

4.3. ირლანდიის სასამართლო პრაქტიკა²⁵

ოთხი შვილის დედა დამნაშავედ იქნა ცნობილი 15.40 ევროს ღირებულების ოთხი ქილა რეგულარულ და მარშმელოუს მოპარვისათვის. დაკითხვის დროს მან აღიარა ჩადენილი დანაშაული. 25 წლის ბრალდებულს ჩადენილი ჰქონდა ექვსი სხვადასხვა ტიპის დანაშაული, მათ შორის ხუთი მცირე მნიშვნელობის ქურდობა. ქალბატონის ადვოკატი აპელირებდა იმ ფაქტზე, რომ პირი იყო ოთხი შვილის დედა, თუმცა მოსამართლემ ხაზგასმით მიუთითა, რომ ქალბატონმა მაკდონაგმა უგულუბელყო წინა მცირე მნიშვნელობის დანაშაულებზე სასამართლოს პოზიცია სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის არ გამოყენების ჭრილში. მოსამართლემ აღნიშნა, რომ დგება მომენტი, როდესაც სასამართლო იძულებულია ამ ტიპის დანაშაულისთვის გამოიყენოს უფრო მკაცრი სანქცია. მომდევნო დღეს სასამართლო სხდომაზე ქალბატონი მაკდონაგი არ გამოცხადებულა. მოსამართლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესზე ქალბატონის დასწრება ამ დროს მისი ერთადერთი მოვალეობა იყო. მოსამართლის განმარტებით, მარტივი არ იყო ოთხი შვილის დედისთვის პატიმრობის მისჯა, მაგრამ მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის ფაქტიც, რომ ეს ქალბატონი ხუთჯერ იყო მხილებული წვრილმან ქურდობაში და მის მიმართ სასამართლოს სასჯელის ზომად პატიმრობა არასდროს ჰქონდა გამოყენებული.

საბოლოო გადაწყვეტილებით, მოსამართლემ სასჯელის სახედ განსაზღვრა 30 დღიანი პატიმრობა, სასამართლომ განმარტა, რომ ის არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მაკდონაგი განმეორებით აღარ ჩაიდენდა ამ ტიპის დანაშაულს, სწორედ ამიტომ პრევენციისთვის გამოყენებულ იქნა 30 დღიანი პატიმრობა.

5. სახელმწიფოს რეპრესიული მექანიზმები

5.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსი და მნიშვნელობა

საქართველოში დღესდღეობით მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც მიღებულია 1984 წელს, ჯერ კიდევ

²⁵ Mother Facing Jail for Shoplifting €15 Worth of Goods Including Red Bull and Marshmallows, Irish Examiner, 08.04.2019

<<https://www.irishexaminer.com/news/arid-30916405.html>> [2022].

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. ლოგიკურია, მოცემული ფაქტის გამო მისი კრიტიკა, რასაც გამოთქვამს არაერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი იურისტი.

„სამართალდარღვევათა მოცემული სისტემა არღვევს საქართველოს მოქალაქეების უფლებას და ზიანს აყენებს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას, რადგან მძიმე სახდელებს აწესებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი პროცესის გარანტიების გვერდის ავლით“.²⁶ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ექვემდებარება სამართლიან კრიტიკას, თუნდაც მასში დღეს კიდევ არსებული ისეთი ტერმინების გამო, როგორიც არის მაგალითად: მოქალაქეთა აღზრდა, ამხანაგური სასამართლო, შრომითი კოლექტივი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საკმაოდ ხშირად განიცდის ცვლილებებს, რაც აუცილებელია ადამიანებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისთვის ფეხის ასაწყო, ადმინისტრაციული გადაცდომისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესის სამართლებრივი პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება.²⁷

ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, მოცემული კოდექსი ვერ მოდის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან, რისი ვალდებულებაც საქართველოს მრავალი წელია აქვს ნაკისრი. არსებული მდგომარეობა კი პირდაპირპროპორციულად უარყოფითად მოქმედებს საქართველოს რეპუტაციაზე საერთაშორისო ასპარეზზე.

მიუხედავად ხარვეზიანი კანონმდებლობისა, განუხრელად დიდია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მნიშვნელობა თითოეული ადამიანის უფლებების სრულყოფილად რეალიზაციისთვისა და დაცვისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც პირი დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ, რა დროსაც შესაძლოა კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე არ იქნეს „უკანასკნელი საშუალება“ გამოყენებული და პირი არიდებულ იქნეს სისხლისსამართლებრივ დევნას, პასუხისმგებლობასა და მის თანმდევ უარყოფით შედეგებს. სისხლისა და ადმინისტრაციულ-დელიქტური სამართლის გამიჯვნის საკითხი და პრობლემატიკა საერთაშორისო სამართლის განხილვის საგნად ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში იქცა. ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი, რაც მოცემული დარგების გამიჯვნისას გამოიყენება არის განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. გარდა ზემოთხსენებულისა, არსებობს გამიჯვნის სხვა მრავალი კრიტერიუმი,

²⁶ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი, როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, თბ., 2013, 2.

²⁷ *ხარშილაძე ი.*, ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები, ადმინისტრაციული სამართალი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, №2, 2016, 62-70.

რომლის შეფასებაც თითოეული სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულების სფეროში ექცევა.

5.2. სისხლის სამართლის კოდექსის არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართალი სამართლებრივ სივრცეში ყველაზე ფასეული და ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. სისხლის სამართლის პოლიტიკაზე დამოკიდებული ის მიდგომები, რომლებიც აქვს რიგ სახელმწიფოს არსებული და მოქმედი დანაშაულის შემადგენლობებისადმი. ზოგად ისტორიულ ფონს თუ გადავხედავთ ტერმინი „სისხლის სამართალი“ გამოხატავს „სისხლის“ თავდაპირველ მნიშვნელობას, რომელიც მას ჯერ კიდევ გვაროვნულ საზოგადოებაში ენიჭებოდა. „სისხლის ფასი“ იყო სამაგიერო, თემის ან გვარის სხვა წევრისათვის მიყენებული ზიანისათვის. თანამედროვეობაში ლოგიკურია არსებული მნიშვნელობა ტერმინისა არარელევანტურია და „სისხლის სამართალი“ სხვა არაფერია, თუ არა დასჯის სამართალი.²⁸ ცალსახაა, რომ „სისხლის სამართალი“ სამართლის ამ დარგში გამოხატული ორი ძირითადი ცნების - დანაშაულისა და სასჯელის მიმართებას გამოხატავს.

ლიტერატურაში არსებული პოზიციის შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლის სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის დარგი, რომელშიც კანონმდებელი, სისხლის სამართლის კანონის ფორმის გამოყენებით, განსაზღვრავს, თუ ადამიანთა რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად, რა სასჯელი ან ზემოქმედების რა ზომა უნდა შეეფარდოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ბრალეულად ცნობილ პირს.²⁹

სამართლებრივი სივრცე მოიცავს სამართლის სხვადასხვა დარგს. სისხლის სამართალს არსებულ მოწესრიგებაში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ცალსახაა, რომ სისხლის სამართალი ბმაშია სამართლის სხვა დარგებთან. კანონმდებელი სწორედ სამართლის აღნიშნულ დარგზე დაყრდნობით ადგენს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებს და სუბიექტებს, რომლებიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს წარმოადგენენ.³⁰

სისხლის სამართალი მისი არსიდან გამომდინარე პრევენციული ბუნებისაა. არსებული მოწესრიგება ცდილობს თავიდან აირიდოს ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება კოდექსში არსებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას, რომელიც ამავედროულად მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულიც იქნება. ლოგიკურია, რომ არსებული პრევენცია აუცილებელია სახელმწიფოს სწორი პოლიტიკისთვის, თუმცა საფიქრებელია, რომ

²⁸ ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 21.

²⁹ ხიტაშვილი ლ., ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოება, თბ., 2019, 23-45.

³⁰ ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 24.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ საშუალებას არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული. უმთავრესია, პირველ რიგში შესწავლილ და მეცნიერულად დასაბუთებულ იქნას დანაშაულთა გამომწვევი მიზეზები. აღნიშნული აუცილებელია, რადგან როდესაც ცნობილი იქნება დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, უშუალოდ დამდგარ შედეგზე კი არ მოუწევს სახელმწიფოს რეაგირება, არამედ ის ეცდება შედეგი აიცილოს თავიდან. როგორც ყოველთვის, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები კვლავ სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიურ-პოლიტიკურ საკითხებში უნდა მოიძებნოს. იმისათვის, რომ შედეგი იქნეს არიდებული სახელმწიფო დასახელებულ სფეროებში არსებული პრობლემური კომპონენტების მოგვარებაზე უნდა აქცენტირდეს. თუ სახელმწიფოს უფლებამოსილი უწყება დაიწყებს ადამიანის ყოფითი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა უმუშევრობის შემცირება, სოციალური და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოებაში ოპტიმისტური და იმედიანი განწყობის შექმნა, სისხლის სამართლის პრაქტიკაში გამოყენების ტენდენციებიც მინიმალიზირებული იქნება.³¹

სისხლის სამართალი, სამართლის ისეთი დარგია, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთადერთი და ჩაუნაცვლებელია. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს ადამიანთა რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და რა სასჯელი ან ზემოქმედების რა ზომა უნდა დაეკისროს დანაშაულის ჩამდენ პირს.

თემატიკის ჭრილში საინტერესო იქნება ზოგადად ყურადღება გამახვილდეს სისხლის სამართალსა და სამართლის სხვა დარგებს შორის ურთიერთობის საკითხზე. ლოგიკურია, რომ ამ ნაწილშიც საქმე იერარქიულობას ეხება, რაც ნიშნავს იმას, რომ თვითნებობა დაუშვებელია. სისხლის სამართალი მატერილური სამართლის სისტემაში სულ ბოლო საფეხურია. აღნიშნული მარტივად ახსნადია, სისხლის სამართალი გამოხატავს მინიმალურ მოთხოვნას, რომ დანაშაული არ იქნეს ჩადენილი. ამიტომაც სწორედ, რომ დანაშაული არის სამართალდარღვევის უკიდურესი სახე, ხოლო სასჯელი - სახელმწიფო იძულების უკიდურესი სახე. მარტივი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სამართლის სისტემას იწყებს კონსტიტუციური სამართალი, ყველაზე ზოგადი, მაგრამ ყველაფრის საწყისი დარგი და ამთავრებს სისხლის სამართალი, ყველაზე კონკრეტული და ქმედითი სახელმწიფოებრივი მექანიზმი.

სისხლის სამართალი თავისი არსით არის სახელმწიფოებრიობის დამცავი მექანიზმი. აღნიშნული ბერკეტის გამოყენება რელევანტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა უკიდურესობა. სამართლის ამ სპეციალურ დარგს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლის სხვა დარგი უსუსურია არსებული სამართალდარღვევის წინაშე. ბალანსის აღსადგენად და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ დოგმატურ სივრცეში სისხლის სამართალი ლიდერია. ესაა მისი დანიშნულება - იყოს *“ULTIMA RATIO”*. ნაშრომის თემატიკის ჭრილშიც სწორედ ამიტომაც გამახვილებული

³¹იქვე, 25.

ყურადღება არსებულ სამართლებრივ პრობლემაზე. გამართლებულია კი მცირე მნიშვნელობის დანაშაულისთვის, სადაც პროკურორი საჯარო ინტერესს ხედავს სისხლის სამართლის წესით დასჯა თუ უმჯობესია სამართლის ამ დარგამდე არსებული მექანიზმები იქნას გამოყენებული.

6. ქმედების მცირე მნიშვნელობის ახლებური მოწესრიგება - რეკომენდაცია

6.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონის ამოცანებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხლი განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც დასახელებული კოდექსის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.³² დასახელებული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.³³

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება მიმდინარეობს კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონის ჩანაწერი უნდა იქნეს ინტერპრეტირებული სიტყვა-სიტყვით დაუშვებელია კანონშემფარდებლის თვითნებობა, რომელიც ხელს შეუშლის სამართლიანობის აღდგენას და ბალანსის დაცვას. აღნიშულთან დაკავშირებით მითითებას აკეთებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლი, ეს ნიშნავს იმას, რომ პირისთვის ამ კოდექსით პასუხისმგებლობის დაკისრების მოტივაციის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ის შეიცავდეს შესაბამის მუხლს, შესაბამისი დესკრიფციული ნაწილით, რაც საბოლოო ჯამში კონკრეტულ საქმეში მოსამართლეს საშუალებას მისცემს სწორად შეუფარდოს მუხლი და განსაზღვროს სახდელის სახე.

³² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 1, 1984.

³³ იქვე.

სწორედ ამ ლოგიკური ჯაჭვიდან გამომდინარე გასაზიარებელია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია კონკრეტული ცვლილება შევიდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ცალსახაა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროს მიღებული საკანონმდებლო აქტი საქართველოსთვის დიდ უხერხულობას იწვევს, შესაბამისად ამ პროცესის დაჩქარება ფუნდამენტურად აუცილებელია. სწორედ ამ ცვლილებების გზაზე მნიშვნელოვანია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთან დაკავშირებით ჩანაწერის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ამ კუთხით პროცესების სისტემურ განვითარებას.

მნიშვნელოვანია კოდექსში გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მცირე მნიშვნელობის დანაშაულის რეგულირებასა და მოწესრიგებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი მუხლის დამატება იქნება რელევანტური. მუხლის დისკოზიციის მიხედვით პირი, რომელმაც ჩაიდინა მცირე მნიშვნელობის დანაშაული, რომელშიც იკვეთება საჯარო ინტერესი და რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე პირველად იქნა ჩადენილი, უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და განისაზღვროს შესაბამისი მინიმალური სანქცია, რაც არა დასჯის, არამედ შემდეგში ამ ტიპის ქმედებების პრევენციის საუკეთესო საშუალება იქნება. ამ ჭრილში გასაზიარებელია სწორედაც რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირლანდიის მიდგომა, რომლებიც პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს წარმოადგენენ და რომელთაც აქვთ შესაბამისი, ადეკვატური ჩარჩო კანონებისა, რომელიც ამ ტიპის ურთიერთობას არ უკავშირებს სისხლის სამართალს თუ ის ჩადენილია პირველად და სახეზე არაა განმეორებადი დანაშაული.

რაც შეეხება სანქციის ზომის განსაზღვრას ამ ჭრილშიც საინტერესოა ამერიკული მოდელი, რომელიც მიუთითებს, რომ სასჯელი მიმართული უნდა იყოს პირის გამოსწორებისაკენ და ის განსაზღვრული არ უნდა იყოს მხოლოდ სამართალდამრღვევის საზოგადოებისგან იზოლაციისათვის. სწორედ ამიტომ, საინტერესოა საზოგადოებრივი შრომის მექანიზმით ამ ტიპის დანაშაულების დასჯადობა, რაც შესაძლოა იყოს ეფექტური ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჭრილში.

რაც შეეხება განმეორებადობას. არაერთგზისობა უნდა მიეთითებოდეს ამ ტიპის მცირე მნიშვნელობის დანაშაულებზე იქ, სადაც საჯარო ინტერესია სახეზე. ამ ტიპის დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სახეზე იქნება უკვე არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლისსამართლებრივი დანაშაული შესაბამისი შემადგენლობით. სწორედ ეს უნდა იყოს მიჯნა ამ კუთხით მსჯელობის დროს.

6.2. სისხლის სამართლის კოდექსში

სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი ადგენს ერთგვარ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას, რომელიც იურიდიულ დოქტრინაში ქმედების მცირე მნიშვნელობის სახელით არის ცნობილი. მოცემული დათქმა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის

ჩამდენ პირს აძლევს საშუალებას, აირიდოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი თანმდევი უარყოფითი იურიდიული შედეგები, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი თავისი მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ ახდენს სამართლებრივი სიკეთის იმგვარ ხელყოფას ან მისთვის საფრთხის შექმნას, რომლის დასჯაც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირებისათვის.

შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის დღევანდელი მოწესრიგების პირობებში კანონმდებელი ნორმაშემფარდებელსა და ბრალმდებელს ათავისუფლებს კანონის იმ იმპერატიული დანაწესისგან, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა უნდა განხორციელდეს განურჩევლად ყველა დანაშაულის წინააღმდეგ, რაც გამომდინარეობს სასჯელის ეკონომიურობისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ყველა შემთხვევა უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ინდივიდუალურად შეფასების შედეგად.

სსკ-ის მე-7 მუხლი ცდილობს მოსამართლესა და პროკურორს მისცეს მეტი თავისუფლება, რათა მათი მხრიდან მოხდეს კანონის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე თანაზომიერი და ზუსტი მისადაგება, ის ერთგვარ ლავირების საშუალებას იძლევა და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ბრალდებულს აძლევს ქმედების მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის „ასხლეტის“ საშუალებას.

კანონის მოცემული დანაწესი, ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარეობს და უთუოდ დადებითად უნდა იქნეს შეფასებული, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ნორმის მოცემული ფორმულირება მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მისი კანონში ასახვის მიზნის რეალიზაციას.

როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო ხშირია შემთხვევები, როდესაც ქმედების მცირე მნიშვნელობა აშკარად იკვეთება თუმცა არსებული რეგულირების პირობებში სასამართლოს მხრიდან მაინც ხდება პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ კანონი კანონმდებელზე ჭკვიანია, ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ნორმა ვერ ახდენს მისი მიღების მიზნის რეალიზაციას პრაქტიკაში განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო და საჭიროებს სხვაგვარ ფორმულირებას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ პირმა განახორციელა მცირე მნიშვნელობის სისხლი სამართლებრივად დასჯადი ქმედება ეს უკანასკნელი ექცევა ჯერ პროკურორის და შემდგომ მოსამართლის შეფასების ფარგლებში და თუ საქმის განხილვის პროცესში დადგინდა, რომ ქმედება მართლაც მცირე მნიშვნელობის არის და არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს ის დანაშაულად არ ითვლება. ნორმის განმარტების შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ მცირე მნიშვნელობის უნდა იყოს უშუალოდ განხორციელებული ქმედება და ამ ეტაპზე არ უნდა მოხდეს ქმედების

განმახორციელებელი პირის შეფასება. თუმცა, როგორც ზემოთ განხილულ სისხლის სამართლის საქმეების ანალიზიდან გამოჩნდა, პრაქტიკაში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ქმედებას, არამედ განმახორციელებელი პირის წარსულსაც და პიროვნებასაც.

მიუხედავად კანონის ამ დანაწესისა პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას საქმის შეფასების ორი ტესტით ხელმძღვანელობს. ეს არის საჯარო ინტერესის ტესტი. შესაბამისად, თუ კონკრეტული ქმედების დასჯის საჯარო ინტერესი იკვეთება, პროკურორს შეუძლია მოცემულ გარემოებაზე აპელირებით მხედველობაში არ მიიღოს უშუალოდ განხორციელებული ქმედების მცირე მნიშვნელობა და მაინც დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ნორმის ამგვარი განმარტება და არსებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მე-7 მუხლი რეალობაში ყოველთვის ვერ უზრუნველყოს მისი მიზნების მიღწევას, ეს კი გამომდინარეობს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მაშინაც, როდესაც ქმედება მართალია მცირე მნიშვნელობის არის, თუმცა არსებობს მისი დასჯის საჯარო ინტერესი. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ უმჯობესი იქნება ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ გაჩნდეს ჩანაწერი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც, რომელიც სისხლის სამართლის გამოყენების წინა „ეტაპს“ განეკუთვნება.

მოცემული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით უმჯობესია, სსკ-ის მე-7 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი, რომელიც შემდეგნაირად იქნება ფორმულირებული: მოცემული კოდექსით, გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მისი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს დანაშაულს, თუმცა თუ დადგინდება ქმედების დასჯადობის საჯარო ინტერესი, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით.

დასკვნა

სსკ, ცალსახაა, რომ მისი დესკრიფციული ნაწილიდან გამომდინარე, არ აკისრებს პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თუ ჩადენილია მცირე მნიშვნელობის დანაშაული, მაგრამ როგორც ნაშრომში კვლევის დროს წარმოჩინდა, რთულია დავადგინოთ ის, თუ რა მოიაზრება მცირე მნიშვნელობაში. პროკურორის დისკრეციაზეა დამოკიდებული პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაში დაინახავს საჯარო ინტერესს თუ არა, რაც ზრდის ინდივიდუალური პროკურორის პასუხისმგებლობას, მაგრამ ამავედროულად აკისრებს უკონტროლო ძალაუფლებას, რაც კანონის არსიდან გამომდინარე ლოგიკურად და გამართლებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ნაშრომში განხილული სასამართლო პრაქტიკა ნათელს ხდის თუ რა სირთულეს აწყდება სასამართლო სისტემა იმ მცირე მნიშვნელობის დანაშაულის შემთხვევაში, სადაც იკვეთება საჯარო ინტერესი. ანალიზმა

ცხადყო რომ ქართულ სასამართლოებში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მცირე მნიშვნელობის დანაშაულისათვის პირს ეკისრება არაპროპორციული სასჯელი. ანალოგიური შემთხვევაა ნაშრომში განხილული გაერთიანებული სამეფოს მაგალითშიც, რომელშიც პირს მარსის შოკოლადის მოპარვისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრა იმ ოდენობით, რაც სრულიად არაპროპორციული იყო მის იმწუთიერ მდგომარეობასთან მიმართებით. ამ ლოგიკური ჯაჭვიდან გამომდინარე გამართლებულად მიგვაჩნია ამერიკის შეერთებულის შტატების მიდგომა, რომელიც მცირე მნიშვნელობის ჭრილში აყალიბებს მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია პირის გამოსწორებისკენ და არა მისი არაპროპორციული დასჯისკენ, რაც მოგეხსენებათ გამართლებულია და ლიბერალიზაციის ტენდენციების თანმდევა.

ნაშრომში ხაზი გაესვა მოსაზრებას, რომ პასუხისმგებლობის მასშტაბი, რომელიც ეკისრება პროკურორს უნდა შემცირდეს და მცირე მნიშვნელობის დანაშაული, რომელიც პირველადაა ჩადენილი და სადაც საჯარო ინტერესს ხედავს პროკურორი დაკვალიფიცირდეს არა სისხლის სამართლის დანაშაულად, არამედ პირი ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. ამისათვის აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განახლებულ კოდექსში დამატებით მუხლად ჩაიწეროს იმ მცირე მნიშვნელობის დანაშაულის დასჯადობა, რომელშიც ნათლად იკვეთება საჯარო ინტერესი. მას შემდეგ რაც პირის მიერ მსგავსი ქმედება განმეორებით იქნება ჩადენილი მიზანშეწონილი იქნება პირის უკვე სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნობის საკითხის განხილვა. ეს ჯაჭვი კუმულატიურად მოგვცემს სამართლიანობის აღდგენის შესაძლებლობას. დაუშვებელია, პირი ნემსისა და აქლემის ქურდობისთვის ერთი და იგივე სანქციით ისჯებოდეს. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს სასჯელის ფორმაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჭრილში მიზანშეწონილი იქნება იმ ტიპის სასჯელის გამოყენება, რომელიც პირის შემდგომში რესოციალიზაციისა და მისი გამოსწორებისკენ იქნება მიმართული. გარდა აღნიშნულისა, ყველასთვის ცნობილია რომ მცირე მნიშვნელობის დანაშაულებს იწვევს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც მძიმეა საქართველოში, სწორედ ამიტომ ამ ტიპის პრობლემისა და სამართალდარღვევის აღმოფხვრის ყველაზე რთული, მაგრამ აუცილობელი მექანიზმია სიღარიბესთან ბრძოლა.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 22/06/1999.
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 15/12/1984.
3. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი, როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, 2013, 2.
4. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ., 2015, 41, 170-175.

5. *ეუაშვილი გ.*, ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძველი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეზე, თბ., 2018, 83-85.
6. *ნაჭყებია გ., თოდუა ნ.*, სისხლის სამართალი სახელმძღვანელო (ზოგადი ნაწილი), მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, 21-25.
7. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, 2010, 56-72.
8. *ხარშილაძე ი.*, ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები, ადმინისტრაციული სამართალი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, №2, 2016, 62-70.
9. დოლიძე თ., ქმედების მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციის თავისებურებები თანამედროვე სისხლის სამართალში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო 14, მაისი, 2020. თბ., 83-95.
10. ხიტაშვილი ლ., ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველი გარემოება, თბ., 2019, 23-45.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება №154აპ-18, 01/08/2018.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-867აპ.-08.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №2კ-339აპ.-05.
14. Criminal Code of Ukraine, 2001.
15. Criminal Code of the Republic of Armenia, 2003.
16. *Lisa M., Schaffer, Esq.*, What Is the Typical Punishment for Petty Theft?, FindLaw, 14/08/2018.
17. *Patrick R.*, Is it Really Criminal to Steal Food When You're Destitute?, The Conversation, 11/05/2016.
18. Mother Facing Jail for Shoplifting €15 Worth of Goods Including Red Bull and Marshmallows, Irish Examiner, 08/04/2019.
19. Francis Wharton, A treatise on the criminal law of the United States, Kay and Bro (Philadelphia), 1874, 200-245.
20. Felthous, Alan R., Rational capacity and criminal responsibility in the USA, International journal of law and psychiatry, 2022, Vol.83 p. 111-145.

Kalenike Uridia*
sopo chelidze*

The Essence of Small Action and the Problem of its Regulation in Georgian Legislation

The presented publication deals with such an important criminal institution as the small significance of the action, its essence, and its goals. The paper reviews Article 7 of the Criminal Code focuses on the international standard, and reviews the legal framework of the UK, Ukraine, the United States and Germany in terms of the topic of the paper. Due to the urgency of the topic, we will touch upon Georgian and foreign case law, which will make clear the essence of the problem and the need to resolve it. The study found that there is no single approach to punishing minor offenses in both continental European and Anglo-American law countries. The current legal framework in Georgia allows for the interpretation of Article 7 of the Criminal Code to the detriment of the accused, which obscures the existence and purpose of the institution.

The research was carried out by systematic, analytical, comparative-legal, historical, and logical methods. The paper aims to analyze the legislative problems related to the minor importance of the action and to develop an optimal mechanism for its solution.

Keywords: Criminal Code, Code of Administrative Offenses, Minor Importance of Action, International Practice, Judicial Practice.

* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, BA Student. Lawyer and International Relations Manager at the NGO Young Barristers and the Law Firm Kaikatsishvili and Barristers.

* Student of the Master's Educational Program of the Faculty of Law of Sulokhan-Saba Orbeliani University.